GEORGIAN INSTITUTE OF PUBLIC AFFAIRS

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საჯარო მმართველობა / Public Administration
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:
I ნაწილი - საჯარო მმართველობის მაგისტრი
II ნაწილი - კვლევის მაგისტრი საჯარო მმართველობაში
პროგრამის მოცულობა კრედიტებით:
I ნაწილი: 60 კრედიტი
II ნაწილი: 60 კრედიტი
სწავლების ენა: ქართული
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური
პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელები: ნანა მაჭარაშვილი, ცირა ელისაშვილი

პროგრამის აღწერა:

ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, საჯარო მმართველობის სფეროში სწავლებისა და კვლევის 30-წლიანი გამოცდილებით, წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სახით ორიენტირებულია ხელი შეუწყოს საჯარო მმართველობის ორგანიზების, პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის, ადამიანური რესურსების, საჯარო ფინანსების, საჯარო სერვისების მართვისა და ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის მიმართულებით შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის განვითარებასა და გაღრმავებას, რათა ამ გზით უზრუნველყოს კარიერულ წინსვლაზე, დამსახურებაზე, კეთილსინდისიერებაზე, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე, მიუკერძოებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებული, სტაბილური, ერთიანი საჯარო სამსახურის მხარდაჭერა და კვალიფიციური მენეჯერებისა და ანალიტიკოსების მომზადება, რომელთაც შეეძლებათ საჯარო მმართველობის რეფორმირების პროცესში პოზიტიური ცვლილებების მართვა.

პროგრამის მიზანი:

სამაგისტრო პროგრამის I ნაწილის მიზანია სტუდენტს შესძინოს და გამოუმუშაოს:

- სიღრმისეული ცოდნა საჯარო მმართველობის ძირითადი კონცეფციების, თეორიების, მეთოდების, მიდგომებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესახებ მენეჯერული, სამართლებრივი, ეკონომიკური და საჯარო/კერძო დაწესებულებების, სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუტების პერსპექტივების გათვალისწინებით;
- სისტემური ცოდნა ცენტრალურ დონეზე საჯარო მმართველობის ორგანიზების, პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის, ადამიანური რესურსების, საჯარო ფინანსების, საჯარო სერვისების მართვისა და ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის მიმართულებით სტრატეგიული და ოპერაციული დონის გადაწყვეტილებების მიღების უნარი, რომელიც ეფუძნება მდგრადი განვითარების მიზნებს, რისკ-ფაქტორების და რესურსების (ინფორმაციული, ადამიანური, მატერიალური, ფინანსური და ა.შ) და ეფექტიან გამოყენებას;
- საჯარო მმართველობის სფეროში საზოგადოებრივი პრობლემური საკითხების სხვადასხვა ანალიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით მართვისა და შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების მომზადების უნარი, ასევე მათი რეალიზაციის, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების გამოყენების უნარი;
- საჯარო მმართველობის სფეროში მოქმედი პროფესიული, ეთიკური და სამართლებრივი

ნორმების დაცვით როგორც დამოუკიდებლად, ისე გუნდური მუშაობის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის აღების უნარი როგორც სტრატეგიულ, ისე ოპერაციულ დონეზე.

სამაგისტრო პროგრამის II ნაწილის მიზანია სტუდენტს შესძინოს და გამოუმუშაოს:

- კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით საჯარო მმართველობის სფეროში აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, კვლევის დაგეგმვის, განხორციელებისა და შედეგების წარდგენის უნარი;

<u>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:</u>

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის I ნაწილზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, ვისაც მიღებული აქვს აკადემიური ხარისხი საჯარო მმართველობაში, სოციალურ და ქცევით მეცნიერებებში, განათლებაში, ბიზნესის ადმინისტრირებაში, მენეჯმენტში ან სამართალში და სურთ გაიღრმაონ ცოდნა საჯარო მმართველობის მიმართულებით. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს:

1) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი აღნიშნულ სფეროში;
2) საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება;
3) ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა: მაგისტრანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით (TOEFL (P/B 513 score; I/BT 87score); IELTS (5.5 Band); FCE; BEC Vantage; PTE (General level 3); PTE Academic (59p); Michigan ECCE). ინგლისური ენის გამოცდისგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენის ვალდებულებისგან თავისუფლდება მაგისტრანტობის კანდიდატი, თუ მას საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ, სამაგისტრო ან საბაკალავრო პროგრამა დასრულებული აქვს ინგლისურ ენაზე.
4) გასაუბრება მისაღებ კომისიასთან, რომლის მიზანია შეფასდეს აპლიკანტის ცოდნა საჯარო მმართველობის დარგში და განისაზღვროს აპლიკანტის უნარ-ჩვევების შესაბამისობა სამაგისტრო პროგრამასთან.

დარგობრივი საკითხების ჩამონათვალი, ინგლისური ენის ტესტის ნიმუშთან ერთად განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია - „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2011 წლის 19 დეკემბრის № 224 / ნ ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის II ნაწილზე დაშვების წინაპირობაა საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის I ნაწილის დასრულება „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების მე-4მუხლის, 1^1 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

პროგრამის I ნაწილის სწავლის შედეგები:

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული:

1. სიღრმისეულად აღწერს საჯარო მმართველობის ორგანიზების, პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის, ადამიანური რესურსების, საჯარო სერვისებისა და საჯარო ფინანსების მართვის, ანგარიშვალდებულებისა და კეთილსინდისიერების საკვანძო პრინციპებსა და კონცეფციებს, დარგის განვითარების თანამედროვე ტენდენციებს, კარგი მმართველობის სტანდარტებს, საუკეთესო პრაქტიკებს და მათ ეკონომიკურ, სამართლებრივ და მენეჯერულ თავისებურებებს.
2. საჯარო მმართველობის სფეროში როგორც სტრატეგიულ, ისე ოპერაციულ დონეზე გამოკვეთს პრობლემურ საკითხებს, შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის ალტერნატიულ გზებს და საჯარო პოლიტიკის ანალიზის ეკონომიკური, მათ შორის რეგულირების ზეგავლენის შეფასების, და არაეკონომიკური ანალიტიკური ინსტრუმენტების საფუძველზე ირჩევს ოპტიმალურ გადაწვეტილებას და ქმნის შესაბამის პოლიტიკის დოკუმენტებს მათ შორის სტრატეგიებს, სამოქმედო გეგმებსა და მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშებს.
3. საჯარო მმართველობის თითოეული მიმართულების მართვის პროცესში ხელმძღვანელობს მდგრადი განვითარების მიზნებით, რისკ-ფაქტორებისა და რესურსების (ინფორმაციული, ადამიანური, მატერიალური, ფინანსური და ა.შ) ეფექტიანი გამოყენების პრინციპით საჯარო/კერძო დაწესებულებების, სამთავრობო და არასამთავრობო ინტიტუტების მართვისა და ადმინისტრირების სპეციფიკის გათვალისწინებით.
4. კრიტიკულად აანალიზებს სახელმწიფოს ფინანსური სისტემის რეგულირებისა და ფუნქციონირების თავისებურებებსა და სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ურთიერთმიმართებებს და იყენებს მათი რეალიზებისა და შეფასების ინსტრუმენტებს როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე.
5. პროექტების მართვის სრულ ციკლსა და ოპერაციული მენეჯმენტის პრინციპებზე დაყრდნობით, აანალიზებს არსებულ საჯარო სერვისებს და ახდენს მათ შეფასებას, მოდიფირებასა და მოდელირებას, მათ შორის ციფრული მმართველობისა და ღია მმართველობის სტანდარტებზე დაყრდნობით.
6. აანალიზებს და აფასებს საჯარო უწყებების მართვისა და ადმინისტრირების სპეციფიკას, მათი საქმიანობის, ორგანიზების, დაგეგმვის, უზრუნველყოფის, მონიტორინგის, შეფასების, საზოგადოებრივი კომუნიკაციებისა და ჩართულობის და შესაბამისი ადამიანური რესურსების განვითარების მეთოდებსა და ინსტრუმენტებს, რომელიც უზრუნველყოფს კარიერულ წინსვლაზე, დამსახურებაზე, კეთილსინდისიერებაზე, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე, მიუკერძოებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებული, სტაბილური, ერთიანი საჯარო სამსახურის განვითარებას.
7. საჯარო მმართველობის დარგობრივ მიმართულებებში არსებული კომპლექსური სოციეტალური პრობლემების მართვის პროცესში ხელმძღვანელობს ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმებით/ღირებულებებითა და კარგი მმართველობის (Good Governance) პრინციპებით, ადამიანის უფლებების დაცვის, საერთაშორისო და ადგილობრივი სამართლებრივი რეგულაციებითა და საუკეთესო პრაქტიკებით, დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას პრობლემების გადასაჭრელად.

პროგრამის II ნაწილის სწავლის შედეგები:

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული:

8. შედარებითი საჯარო მმართველობისა და საერთაშორისო საუკეთესო, მათ შორის ევროკავშირის, პრაქტიკებზე დაყრდნობით განიხილავს საჯარო მმართველობის რეფორმირების გამოცდილებებს და განსაზღვრავს საჯარო მმართველობის დარგობრივი მიმართულების ადმინისტრირების მექანიზმების ძირითად სტანდარტებს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებსა და თავისებურებებს.

9. კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, სისტემურად ამუშავებს და კრიტიკულად აანალიზებს თანამედროვე და კომპლექსურ პროფესიულ/აკადემიურ სამეცნიერო მიდგომებსა და ინფორმაციას, ემპირიული კვლევის საფუძველზე დამოუკიდებლად მოიპოვებს მონაცემებს, რაზე დაყრდნობითაც ინდივიდუალურად ქმნის კვლევით ნაშრომს საჯარო მმართველობის პრობლემურ საკითხებზე და აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით წარუდგენს კვლევის შედეგებს.
10. საჯარო მმართველობის სფეროში სტრატეგიული მიდგომების გათვალისწინებით დამოუკიდებლად აფასებს და განსაზღვრავს საკუთარი და გუნდის წევრთა პროფესიული განვითარების და კარიერული ზრდის საჭიროებებს.

სწავლება-სწავლის მეთოდები:

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, სპეციფიკური მასალის ათვისებას და კონკრეტული უნარებისა და პასუხისმგებლობების განვითარებას და თანხმობაშია „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასების შესაბამის მიდგომებსა და კრიტერიუმებთან აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სტუდენტებთან სიღრმისეული უკუკავშირის ვალდებულების დაცვის პირობით. საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სწავლება-სწავლის მეთოდები ეყრდნობა საუკეთესო პრაქტიკისა და საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული კომპეტენციების განვითარების გამოცდილებას, ასევე საჯარო მმართველობის დარგობრივ მახასიათებელს და ხორციელდება შემდეგი გავრცელებული მეთოდებით: ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი; ვერბალური მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი; ჯგუფში მუშაობა; პრაქტიკული მუშაობა; სწავლება კეთებით; დამოუკიდებელი სწავლა; შემთხვევის შესწავლა; პროექტზე დაფუძნებული სწავლება; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; სიმულაციური სწავლება; კონსულტაციები; გონებრივი იერიში; დისკუსია/ დებატები; პრეზენტაციები; ელექტრონული სწავლება და და სხვა.

დასაქმების სფერო:

საჯარო მმართველობის პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს როგორც უშუალოდ საჯარო სექტორში (სახელმწიფო სტრუქტურებში, როგორც ადგილობრივ ასევე ცენტრალური მმართველობის ორგანოებში), ისე საჯარო სექტორის განვითარებაზე ორიენტირებულ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებში და ჰქონდეს წარმატებული კარიერა საჯარო მმართველობის სფეროში. პროგრამის მეორე ნაწილი იძლევა ღრმა თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას აწარმოონ კვლევა ან ჩაერთონ პრაქტიკულ საქმიანობაში საჯარო მმართველობის სხვადასხვა მიმართულებით ანალიტიკოსებისა და მენეჯერების სახით.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი ნაწილის კურსდამთავრებული უფლებამოსილია სწავლა გააგრძელოს ამავე პროგრამის მეორე ნაწილზე, ხოლო მეორე ნაწილის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე ან ნებისმერი სხვა დარგის სადოქტორო პროგრამაზე თუ მისი დაშვების წინაპირობა არ არის შეზღუდული კონკრეტული სპეციალობით.

ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ:

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სავალდებულო და არჩევით საგნებს უძღვება როგორც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, მათ შორის საზღვარგარეთიდან მოწვეული პროფესორი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები. ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დანართში N3.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ: სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზი; კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა; კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები; სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით, საერთაშორისო ელექტრონული ბაზებით, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის მიღმაც და უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები:

პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი: **პროფესორი ნანა (ნანი) მაჭარაშვილი**
ტელ: (995 32) 249 75 00 მობ: + (995) 593488211
მეილი: nana.macharashvili@gipa.ge

პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი: **პროფესორი ცირა ელისაშვილი**
ტელ: (995 32) 249 75 00 მობ:+ (995) 599706377
მეილი: ts.elisashvili@gipa.ge

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო გეგმა:

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა შედგება ორი ნაწილისგან: პირველი ნაწილი აერთიანებს სასწავლო კომპონენტებს (60 ECTS), ხოლო მეორე ნაწილი მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს (60ECTS).

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს მაგისტრანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას საჯარო მმართველობის დარგობრივ მიმართულებებში შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობების განვითარებით, რაც მიიღწევა პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სავალდებულო და არჩევითი კურსების შეთავაზების გზით.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას. სამაგისტრო ნაშრომი არის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის კვლევითი სავალდებულო კომპონენტი, რომლის შესრულება დასტურდება სამაგისტრო ნაშრომის წარდგენითა და დაცვით (პრეზენტაცია და დისკუსია). სამაგისტრო ნაშრომი სტუდენტის ინდივიდუალური, დამოუკიდებელი, ორიგინალური კვლევაა. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და მისი დაცვის მიზანია

სტუდენტს ჩამოუყალიბოს საჯარო მმართველობის სფეროში კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, მიღწეული სწავლის შედეგების წარმოჩენისა და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით საკუთარი მსჯელობის არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარი. პასუხისმგებლობა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას აკადემიური და კვლევითი კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვაზე ეკისრება სტუდენტს. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, სამაგისტრო ნაშრომის პროექტის/პროსპექტუსის დაცვა წარმოადგენს სტუდენტის პროგრესიის პერიოდულ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობას.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება წარმოებს ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი				სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
				I წელი/ნაწილი		II წელი/ნაწილი		საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
				სემესტრი					
				I	II	III	IV		
				30	30	30	30		
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები									
1	PA101	არ გააჩნია	მენეჯმენტი კერძო, საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის	5/125				30	95
2	PA102	არ გააჩნია	საჯარო მმართველობის სამართლებრივი განზომილებები	5/125				36	89
3	PA103	არ გააჩნია	საჯარო მმართველობა და ორგანიზაციული თეორია	5/125				30	95
4	PA104	არ გააჩნია	ლიდერობა, ეთიკა და ანგარიშვალდებულება საჯარო სექტორში	5/125				30	95
5	PA105	არ გააჩნია	პროექტების მენეჯმენტი და საჯარო სერვისების მართვა	5/125				30	95
6	PA106	არ გააჩნია	ეკონომიკა, საჯარო ფინანსების მართვა და ბიუჯეტირება	5/125				39	86
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები									
7	PA201	PA101 -PA106	ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში		5/ 125			30	95
8	PA202	PA101 -PA106	სტრატეგიული კომუნიკაცია და ჩართულობის მენეჯმენტი		5/125			30	95
9	PA203	PA101 -PA106	სტრატეგიული მართვა - პოლიტიკის დაგეგმვა, კოორდინაცია და შესრულების მენეჯმენტი		5/125			36	89
10	PA204	PA101 -PA106	გლობალური მმართველობა, ევროკავშირის მრავალდონიანი მმართველობა და მისი გამოწვევები		5/125			30	95
11	PA205	PA101 -PA106	რეგულირების ზეგავლენის შეფასება		5/125			30	95
12	PA206	PA101 -PA106	ელექტრონული მმართველობა საჯარო სექტორში		5/125			30	95
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები						30	30		
13	PAResearch 1	I ნაწილის დასრულება	აკადემიური წერა და კვლევის დიზაინი			10/250		40	210
14	PAResearch 2	I ნაწილის დასრულება	რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები			10/250		45	205
15	PAResearch 3	I ნაწილის დასრულება	საჯარო მმართველობის რეფორმირების პრინციპები და შედარებითი საჯარო მმართველობა			5/125		39	86
ძირითადი სწავლის სფეროს სპეციალობის არჩევითი საგნები						5			
16	PAResearchEL1	I ნაწილის დასრულება	გარემოსდაცვითი პოლიტიკის მართვა			5/125		30	95
17	PAResearchEL2	I ნაწილის დასრულება	ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის მართვა			5/125		30	95

18	PAResearchEL3	I ნაწილის დასრულება	კულტურული მემკვიდრეობის მართვა და ქალაქის პოლიტიკა			5/125		32	93
19	PAResearchEL4	I ნაწილის დასრულება	განათლების პოლიტიკის მართვა			5/125		30	95
20	PAResearchEL5	I ნაწილის დასრულება	სოფლის მეურნეობის განვითარება და მართვა			5/125		28	97
21	PAResearchEL6	I ნაწილის დასრულება	საგარეო პოლიტიკის მართვა: ეროვნული უსაფრთხოება და ნატო-ში გაწევრიანება			5/125		30	95
22	PAResearchEL7	I ნაწილის დასრულება	ფინანსური სისტემის რეგულირება და მენეჯმენტი			5/125		30	95
კვლევითი კომპონენტი									
	PAResearch TH	III სემესტრით გათვალისინებული 30 კრედიტის დაგროვება	სამაგისტრო ნაშრომი				30/750		
				30	30	30	30		
			სულ	120					

ცხრილი # 1: საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის I ნაწილის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა N1

პროგრამის მიზნები				
	მიზანი 1	მიზანი 2	მიზანი 3	მიზანი 4
შედეგი 1				
შედეგი 2				
შედეგი 3				
შედეგი 4				
შედეგი 5				
შედეგი 6				
შედეგი 7				

ცხრილი # 2: საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის II ნაწილის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა N2

პროგრამის მიზნები	
	მიზანი 5
შედეგი 8	
შედეგი 9	
შედეგი 10	

ცხრილი N3: საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

რუკაზე წარმოდგენილია სწავლის შედეგები სავალდებულო საგნებთან მიმართებით, რომლებიც თავის მხრივ ჩაშლილია სამ (3) დონედ: ა) I (Introduction) - გაცნობითი დონე, ბ) D (Development of knowledge) - ცოდნის გაღრმავება, გ) M (Mastering) - ცოდნის განმტკიცება. პროგრამა ასევე ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტს - P (Practical application of knowledge/research). ასევე შესაძლებელია, რომ სასწავლო კურსი გადიოდეს განვითარებისა და პრაქტიკის (DP) ან გაღრმავებისა და პრაქტიკის (MP) დონეზე.

სასწავლო/კვლევითი კომპონენტი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
I ნაწილის სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკა										
საჯარო მმართველობის სამართლებრივი განზომილებები	I	I		I		I		I		
საჯარო მმართველობა და ორგანიზაციული თეორია	I		I				I	I	I	I
მენეჯმენტი კერძო, საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის	I	I	I	I	I	D				I
ლიდერობა, ეთიკა და ანგარიშვალდებულება საჯარო სექტორში	I						I	I	I	I
საჯარო ფინანსების მართვა და ბიუჯეტირება	D	D	I	D		D		D		
ელექტრონული მმართველობა საჯარო სექტორში	D		DP	DP				D		
რეგულირების ზეგავლენის შეფასება		DP	DP	D	D	D	D			
ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში	D		DP				D	D		DP
გლობალური მმართველობა, ევროკავშირის მრავალდონიანი მმართველობა და მისი გამოწვევები	D					DP		D		
სტრატეგიული კომუნიკაცია და ჩართულობის მენეჯმენტი	D				DP	DP	D	D		
პროექტების მენეჯმენტი და საჯარო სერვისების მართვა	D	DP	D	D	M	D	DP			DP
სტრატეგიული მართვა - პოლიტიკის დაგეგმვა, კოორდინაცია და შესრულების მენეჯმენტი		MP	MP	M		DP	M			
II ნაწილის სავალდებულო სასწავლო /კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგების რუკა										
საჯარო მმართველობის რეფორმირების პრინციპები და შედარებითი საჯარო მმართველობა	D				D		D	D	D	D
რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები								DP	DP	DP
აკადემიური წერა და კვლევის დიზაინი	M			M				M	M	M
სამაგისტრო ნაშრომი	M	M	M	M		M		M	M	M

დანართი N1 - პროგრამის აკადემიური და ადმინისტრაციული ხელმძღვანელების პირადი საქმეები:

(CURRICULUM VITAE)

ნანა (ნანი) მაჭარაშვილი
მობილური: (+995) 593 488 211
ელ-მისამართი: nana.macharashvili@gipa.ge

მიმდინარე საქმიანობა

2018 წლიდან - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი, კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საჯარო მმართველობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი
2019 წლიდან - აკრედიტაციის ექსპერტი, საჯარო პოლიტიკა/მმართველობა, პოლიტიკის მეცნიერება, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
2022 წლიდან - The NISPAcee საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სამეცნიერო ჟურნალის - NISPAcee Journal of Public Administration and Policy პარტნიორი/კოორდინატორი ჯიპა-ში.

განათლება

Ph.D (2006)- პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი # 005555, თსუ, ასპირანტურა, პოლიტიკის მეცნიერება
M.A. (2003) - მანჩესტერის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებათა მაგისტრი, მოსკოვის სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლა, ერთობლივი ბრიტანულ-რუსული სამაგისტრო პროგრამა
PG Diploma (2003) -მოსკოვის სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლა, პროფესიული გადამზადების პროგრამა
M.A. (2001) - თსუ, მაგისტრატურა, პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი
B.A. (1999) - თსუ, ბაკალავრიატი, პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი

პუბლიკაციები

1. Macharashvili, N., Gorgodze, A., Kipiani, K., (2024), U21 and Sustainable Development Goals (SDGs), Research Report, Research Project funded by UEFA Academy.
2. ნორდბერგი, კ, ლინდი, მ., ტაბეშაძე ნ., ჩუთლაშვილი, ა., მაჭარაშვილი, ნ., (2023), რეკომენდაციები საქართველოში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების არსებითი მონაწილეობის გასაზრდელად (შვედური და ფინური გამოცდილების საფუძველზე), თბილისი: ჯიპა, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში საჯარო ადმინისტრირების რეფორმის მხარდაჭერის ფარგლებში (ქართულ და ინგლისურ ენებზე).
3. მაჭარაშვილი, ნ., ცუხიშვილი, ნ. (2022), საჯარო მოხელეების მიერ მხილების მექანიზმის არსებული პრაქტიკის შეფასება, კვლევის ანგარიში, საჯარო მოხელეთა ჰაბი. თბილისი.
4. საქართველოს საჯარო სამსახურში ტექნიკური და არააკადემიური პროფესიების შესწავლა, კვლევის ანგარიში მომზადებულია ACT-ის მიერ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისთვის (GIZ), 2022, თბილისი, საქართველო.
5. Macharashvili, N., Sanikidze. T., Beridze, E., Begoidze, M., Chalauri, N., (2020), Political Independence of Civil Servants and the Role of Senior Civil Servants. Tbilisi: GIPA with the support of UNDP Georgia.
6. მაჭარაშვილი, ნ., სანიკიძე, თ., ბერიძე, ე., ბეგოიძე, მ., ჩალაური, ნ., (2020), პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და უმაღლესი საჯარო მოხელის ინსტიტუტი, თბილისი: ჯიპა, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში საჯარო ადმინისტრირების რეფორმის მხარდაჭერის ფარგლებში.
7. ძებისაშვილი, შ., მაჭარაშვილი, ნ., (2020), უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში სტრატეგიული დაგეგმვის სახელმძღვანელო, თბილისი: ნატოს სამოკავშირეო ოფისი (NLO), პროფესიული განვითარების პროგრამა.

8. Véronique Dudouet, Alia Ashaq, Ekaterine Basilaia and Nani Macharashvili, (2018), From Policy to Action: Assessing the European Union's Approach to Inclusive Mediation and Dialogue Support in Georgia and Yemen. Peacebuilding, DOI: 10.1080/21647259.2018.1491279 (HORIZON2020)
9. Nana Macharashvili, Ekaterine Basilaia, Nikoloz Samkharadze, (2017), Assessing the EU's conflict prevention and peacebuilding interventions in Georgia, WOSCAP case-study report. https://www.woscap.eu/publications1/index.html (HORIZON2020)
10. ეკატერინე ბასილაია, ნანა მაჭარაშვილი (2017), გენდერი და კატასტროფის რისკის მართვა: თემის მედეგობის ამაღლება სპეციფიკური საჭიროებების და პოტენციალის შესწავლის გზით, კვლევის ანგარიში, კვლევა წარმოადგენს ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების და სამოქალაქო დაცვის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამის „თემების მდგრადობის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში" ნაწილს.
11. Lia Tsuladze, Nana Macharashvili & Ketevan Pachulia (2017), SOS Tbilisi, Problems of Post-Communism DOI: 10.1080/10758216.2017.1308228
12. Macharashvili, N., Basilaia, E, Tangiashvili, N. (2015) Policy Advocacy Success in Georgia: The Role and Limitations of NGOs in Influencing Public Policy, Tbilisi (manuscript on Georgian and English Languages).
13. N.Macharashvili, N.Vasadze, (2013) Book review for Ricketts, A. (2012) The Activists' Handbook: A Step-by-Step Guide to Participative Democracy, Zed BooksL London, NY, in *Community Development Journal* (2013) 48 (4): 648-651. Macharashvili N. (2011) Windows of Opportunity for governmental and non-governmental organization partnership in Georgia. Annual Publication. *Center of Training and Consultancy*. 2010
14. ნ.მაჭარაშვილი, შესაძლებლობების ფანჯრები სამთავრობო და არასამთავრობო სექტორს შორის თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, ტრენინგისა და კონსულტაციების ცენტრი. თბილისი: 2010.
15. საქართველოში სახელმწიფო მართვის რეფორმირება: მომსახურებაზე დაყვანილი მოქალაქეობის პრინციპი. ტრეინინგისა და კონსულტაციების ცენტრი. თბილისი: 2009.
16. მაჭარაშვილი ნ. (2008), საქართველოში ახალი საჯარო მენეჯმენტის პრინციპების დამკვიდრების პერსპექტივები. ს.ს.ი.p. პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. (მონოგრაფია).
17. მაჭარაშვილი ნ. (2008), ახალი საჯარო მენეჯმენტის ცენტრალიზებული მოდელი. ს.ს.ი.პ. პოლიტოლოგიის ინსტიტუტის კრებული პოლიტიკა დღეს: ინსტიტუტები, პროცესები, აქტორები.
18. მაჭარაშვილი ნ. (2007), შერიგება როგორც პოსტკონფლიქტურ საზოგადოებაში თანხმობის მიღწევისა და მშვიდობის მშენებლობის საშუალება. თბილისი: პოლიტოლოგიის ინსტიტუტი.
19. მაჭარაშვილი ნ., (2007), პოლიტიკა და საზოგადოება - პოლიტიკური ფორუმი - 10 შეკითხვა საქართველოს საზოგადოებრივ განვითარებაზე - 2006, თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი.
20. FOLLOWING INTERNATIONAL EXPERIENCE OF NATIONAL RECONCILIATION BY REJECTING THE RETRIBUTIVE MODEL? The *CA&CC Press® AB /Central Asia & Central Caucasus Press AB/*, THE Caucasus &Globalization, Journal of Social, Political and Economic Studies, Vol. 1 (4), 2007
21. Нани МАЧАРАШВИЛИ, ОТКАЗ ОТ "КАРАТЕЛЬНОЙ" МОДЕЛИ ВОССТАНОВЛЕНИЯ СПРАВЕДЛИВОСТИ: ИДЕТ ЛИ ГРУЗИЯ ПО ПУТИ МЕЖДУНАРОДНОГО ОПЫТА НАЦИОНАЛЬНОГО ПРИМИРЕНИЯ? КАВКАЗ&ГЛОБАЛИЗАЦИЯ, Журналсоциально-политических и экономических исследований, Том 1 (4), 2007 г.
22. მაჭარაშვილი ნ. (2006), პოლიტიკის ანალიზი, სახელმძღვანელო, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბ.
23. მაჭარაშვილი ნ. (2005), ეროვნული შერიგების საერთაშორისო გამოცდილება: რომელ მოდელს აირჩევს საქართველო. კრებ.:"წელიწდეული _ 2005", საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. თბ.
24. Мачарашвили Н. (2004), Испанский опыт проведения политики национального примирения // კრებ.: „პოლიტიკა", # 5-6
25. მაჭარაშვილი ნ. (2001), ეროვნული შერიგების საერთაშორისო გამოცდილება და საქართველო. კრებული „პოლიტიკური ტექნოლოგიები", #2, თბილისი.
26. მაჭარაშვილი ნ. (2000), ადამიანის უფლებათა დაცვა. პოლიტოლოგია. სალექციო კურსების თემატიკა. თბილისი

27. მაჭარაშვილი ნ. (1998), კომპრომისი როგორც პოლიტიკური კულტურის ფენომენი. // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხებისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, თბ.

სამეცნიერო პროექტები/მეცნიერების განვითარების მხარდაჭერის გრანტები

2022-2026 - პროექტის ხელმძღვანელი ჯიპა-ს მხრიდან, ევროკომისიის გრანტი - ETHICS - კვლევის ეთიკისა და კეთილსინდისიერების გაძლიერება საქართველოს უნივერსიტეტებში - Georgia National Project ERASMUS-EDU-2022-CBHE-STRAND-3 (2022-2026)

2022-2025 - The NISPAcee - ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საჯარო ადმინისტრირების ინსტიტუტებისა და სკოლების ქსელის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სამეცნიერო ჟურნალის - NISPAcee Journal of Public Administration and Policy პარტნიორი/კოორდინატორი ჯიპა-ში.

2022 - მარტი-დეკემბერი - საჯარო მოხელეების მიერ მხილების მექანიზმის არსებული პრაქტიკის შეფასება საჯარო მოხელეთა ჰაბი, მხარდაჭერის ნიდერლანდების საელჩოს მიერ.

2019-2022 - პროექტის ხელმძღვანელი ჯიპა-ს მხრიდან, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კვლევითი შესაძლებლობების ამაღლება კვლევისა და განვითარების ერთეულების განვითარების გზით (HERD), ევროკომისია, ERASMUS+ Programme, 598207-EPP-1- 2018-1-GEEPPKA2-CBHE-SP

2019-2020 - სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელი, მკვლევარი - საჯარო მოხელეთა პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და უმაღლესი საჯარო მოდელის როლი, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერის ფარგლებში.

2015 წლიდან - ევროსაბჭოს მიერ ჰორიზონტ 2020-ის ფარგლებში დაფინანსებული სამეცნიერო პროექტის „კონფლიქტის პრევენცია და მშვიდობის შენება სოციეტალური გადაწყვეტის დონეზე“ კოორდინატორი და ადგილობრივი მკვლევარი - HORIZON 2020 – EU Whole-of-Society Conflict Prevention and Peacebuilding (EU-WOSCAP), 653866 – WOSCAP –H2020-BES-2014-2015/H2020-BES-2014, Local Expert, Project Coordinator at Tbilisi State University.

2015 წლიდან – მკვლევარი, ნორვეგიის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის კვლევითი პროექტი „გარემოს დაცვის პოლიტიკის ადვოკატირება თბილისში - Research Beyond the Ivory Tower: Policy and Communications Training for University Teams programme, .'NUPI - Norwegian Institute of International Affairs fellowship for research - SOS Tbilisi: Does Environmental Civic Participation Enable Deliberative Democracy in Georgia?

2014-2016 - ავტორი საჯარო მმართველობის და პოლიტიკის მიმართულებით, განმარტებითი ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში, პროექტის "განმარტებითი ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში: ფსიქოლოგია, გენდერი, გამოყენებითი სტატისტიკა, საჯარო პოლიტიკა და მართვა" ფარგლებში, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით.

2013-2015 – ადგილობრივი ექსპერტი – V-Democracy Institute, Department of Political Science, University of Gothenburg (Sweden). https://v-dem.net/DemoComp/en/data/analysis.

2013-2014 – პროექტის ხელმძღვანელი და მთარგმნელი, აშშ-ს საელჩო, ამერიკელი ავტორების წიგნის თარგმნის პროექტი, იულიამ დანი, საჯარო პოლიტიკის ანალიზი;

2012-2014 – პროექტის ხელმძღვანელი და უფროსი მკვლევარი, კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის (ASCN) გრანტი. გარე აქტორების მონაწილეობა საჯარო პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა ფორმირებაში.

(CURRICULUM VITAE)

ცირა ელისაშვილი
პერსონალური ინფორმაცია
მისამართი: პეკინის მე-II კვ. VII-კორპ. მე-IV სადარბაზო, ბინა-75.
თბილისი 0100, საქართველო
მობილური: 599 70 63 77;
სახლი: 237 41 60,
E-mail: ts.elisashvili@gipa.ge

<u>განათლება</u>	- 2012 - დღემდე - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა /ამჟამად საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა, დოქტორანტი - 2003-2004- საქართველოს საზოგადოებრივ-საქმეთა ინსტიტუტი (GIPA), მმართველობის სკოლა, ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა, საჯარო მმართველობის მაგისტრი - 1991-1997 - თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, არქიტექტურის კათედრა, მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნება
<u>სამუშაო გამოცდილება -</u>	- 2014 - დღემდე - პროფესორი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) - 2013 - დღემდე - კულტურული მემკვიდრეობის ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველოს საზოგადოებრივ-საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) - 2012 – 2023 - საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, - 2012 - დღემდე - ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ხელმძღვანელი - 2023- დღემდე - საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი - 2023 - დღემდე - ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, საქართველოს საზოგადოებრივ-საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) - 2012 - დღემდე - შპს „რესტავრაციისა და დაგეგმარების ცენტრი“, დირექტორი - 2010-2012 - შპს „არტ-უბანი“ - პროექტების მენეჯერი - 2008-2010 - შპს „ნოემა +“ - პროექტების მენეჯერი - 2007-2008 - თბილისის საზოგადოებრივი სივრცის დაგეგმარებისა და განვითარების ცენტრი, თავმჯდომარის მოადგილე - 2006-2007 - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) კულტურის პოლიტიკის, კულტურული მემკვიდრეობის და ქალაქის პოლიტიკის საგნების ლექტორი - 2005 - დღემდე - საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრო, მთავარი არქმშენ-ინსპექციის უფროსის მოადგილე - 2004-2004 - თბილისის საკრებულო, საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისია - 2002 -2003 - თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, მონუმენტური ხელოვნების კომპოზიცია, ლექტორი
მიმდინარე პროექტები	- ისტორიულ-არქიტექტურული კვლევითი პროექტი ქ. თბილისში განთავსებულ ისტორიული შენობებზე (185 შენობა) QR-ის განთავსებასთან დაკავშირებით - 2024 წ.
დასრულებული პროექტები	- 1999 - 2003 - ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე მდებარე#14, #24, #26, #28; მაჩაბლის #10, #12; იაშვილის #16 #18, ლეონიძის #7/2; შანიძის #3; წინამძღვრიშვილის 26 შენობების გარე ფასადების კომპლექსური რეკონსტრუქციისა და რესტავრაციის პროექტი - განხორციელებული შპს „არტუბანის“ მიერ, დაფინანსებულია ძველი თბილისის გამგეობის მიერ.

	- ქ. თბილისში, ლ. ასათიანის ქ-ზე მდებარე #24/21, #30, #34, #36, #37/25, #39, #38, #40, #41, #42, #43, #66 , თოიძის ქ. #36 და გალაკტიონის ქ-ზე #2, #2ა, #3/5, #7, #9, #11/11 შენობების გარე ფასადების კომპლექსური რეკონსტრუქციისა და რესტავრაციის პროექტი - განხორციელებული შპს „არტუბანის“ მიერ, დაფინანსებულია ძველი თბილისის გამგეობის მიერ. - ქ. თბილისში, მეტროსადგურ „რუსთაველისაკენ“ გასასვლელი პასაჟის და მისი შემადგენელი სახლების (მ. კოსტავას ქუჩაზე მდებარე #6, #8, #10, #12 შენობების გარე ფასადების კომპლექსური რეკონსტრუქციისა და რესტავრაციის პროექტი - განხორციელებული შპს „არტუბანის“ მიერ, დაფინანსებულია ძველი თბილისის გამგეობის მიერ. - ბორჯომის „ფირუზა“ - რესტავრაციის პროექტი
საჯარო ლექციები	- TBILISI PHOTO BIENNALE 20 - საჯარო ლექცია „თბილისური ამბები“ 2023 წ. - GIPA TALKS - ''სალდათის მოედნიდან ორბელიანამდე'' საჯარო ლექცია 2023 წ - GIPA - ონლაინ საჯარო ლექცია „უფლება ქალაქზე“- 2021წ. - GIPA Stories - Story #6 - SALVE თბილისში - 2019 წ. - გუდიაშვილის მოედანზე და ორბელიანის მოედანზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები და მათი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და ტფილისის ჰამქრის ერთობლივი პროექტი. 2018-2022
პუბლიკაციები	- "ძველი თბილისის ურბანული რეაბილიტაცია" - 2003 წ. - არქიტექტურულ-მხატვრული ანალიზი და ისტორიული ნაგებობების შეფასება რუსთაველის გამზირზე # 24, # 26, # 28 - 2006 წ. - "გალაქტიონის ქ. # 24/21 ისტორიული კვლევა" - 2006 წელს დაფინანსებული "ძველი თბილისის" გამგეობა - კულტურული მემკვიდრეობის ნუსხის რევიზიის შედეგები - ტფილისის ჰამქრი. 2013 - ურბანული მემკვიდრეობის დაცვის საკანონმდებლო პრობლემები და სამართალდარღვევები - ტფილისის ჰამქარი 2013 წ. - საჯარო მმართველობა საქართველოში - თანამედროვე ქეისები - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, 2014 წ. - კულტურული მემკვიდრეობის სამართლებრივი ჩარჩო - "სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურული რესურსები" 2014 წ. - ძველი ტფილისის ევროპული გრავიურები - სამეცნიერო რედაქტორი, გამომცემლობა „არტანუჯი“, 2020 წ. - კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის - შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის შენობის წინაშე არსებული გამოწვევები - ღია საზოგადოების ფონდის მიერ მხარდაჭერილი კვლევა, 2022 წ. - ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა ქ. თბილისში განთავსებულ ისტორიული შენობებზე (185 შენობა) QR-ის განთავსებასთან დაკავშირებით - 2024 წ. - „ღვინო ქართულ ხელოვნებაში„ სტატია „გუდიაშვილის მოედანი გელოდებათ“. ARCHAEOPRESS - 2024 წ.
პროფესიული ასოციაციების წევრობა და აქტივიზმი	- 2006 წლიდან 2020-მდე -n ქალაქზე მზრუნველთა გაერთიანება - ტფილისის ჰამქარი - 2010 წლიდან დღემდე- ICOM - 2020 წლიდან - ICOMOS - ეროვნული ჯგუფის წევრი - 2021 წ. - საინიციატივო ჯგუფი „ხელოვნების მუზეუმისთვის“ დამფუძნებელი - 2023 წლიდან დღემდე - „მე ვარ ქალაქი“ - დამფუძნებელი და ხელმძღვანელი
ჯილდოები	- „საუკეთესო სადიპლომო ნამუშევარი“ - GIPA - „სამეცნიერო სამუშაოებისათვის“ - GIPA - “ინსტიტუტის საქმიანობაში შეტანილი წვლილისათვის“ -GIPA

კომპიუტერული პროგრამები	- MS Windows, Ms. Word, Ms. Excel, PowerPoint

დანართი N2 - ინფორმაცია პროგრამის ადამიანური რესურსების შესახებ

#	სახელი, გვარი	აკადემიური/მოწვეული პერსონალი, აკადემიური პოზიცია	სასწავლო კურსი
1	**დავით ჯანდიერი**	პროფესორი	საჯარო მმართველობის სამართლებრივი განზომილებები
			სამაგისტრო ნაშრომი
2	**მიხეილ თოქმაზიშვილი**	ასოცირებული პროფესორი	ეკონომიკა, საჯარო ფინანსების მართვა და ბიუჯეტირება
			სამაგისტრო ნაშრომი
3	**თამარ კბილაძე**	ასოცირებული პროფესორი	ეკონომიკა, საჯარო ფინანსების მართვა და ბიუჯეტირება
			ფინანსური სისტემის რეგულირება და მენეჯმენტი
			სამაგისტრო ნაშრომი
4	**ნანა მაჭარაშვილი**	პროფესორი	საჯარო მმართველობა და ორგანიზაციული თეორია
			სტრატეგიული მართვა-პოლიტიკის დაგეგმვა, კოორდინაცია და შესრულების მენეჯმენტი
			აკადემიური წერა და კვლევის დიზაინი
			სამაგისტრო ნაშრომი
5	**თედო სანიკიძე**	ასისტენტი	საჯარო მმართველობა და ორგანიზაციული თეორია
6	**ნათია იაკობიძე**	ასოცირებული პროფესორი	აკადემიური წერა და კვლევის დიზაინი
7	**ქეთევან რუხაძე**	ასისტენტი	მენეჯმენტი კერძო, საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის
8	**გვანცა ბესელია**	ასოცირებული პროფესორი	ლიდერობა, ეთიკა და ანგარიშვალდებულება საჯარო სექტორში
			სამაგისტრო ნაშრომი
9	**შალვა გოგიძე**	ასოცირებული პროფესორი	სტრატეგიული კომუნიკაცია და ჩართულობის მენეჯმენტი
			სამაგისტრო ნაშრომი
10	**შალვა ლაზარიაშვილი**	ასოცირებული პროფესორი	მენეჯმენტი კერძო, საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის
			სამაგისტრო ნაშრომი
11	**თამარ ჩხაიძე**	მოწვეული ლექტორი	რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები
			სამაგისტრო ნაშრომი
12	**როლანდ აუდენარდე**	მოწვეული ლექტორი	საჯარო მმართველობის რეფორმირების პრინციპები და შედარებითი საჯარო მმართველობა
13	**თეონა ლავრელაშვილი**	ასოცირებული პროფესორი	გლობალური მმართველობა, ევროკავშირის მრავალდონიანი მმართველობა და მისი გამოწვევები
			სამაგისტრო ნაშრომი
14	**თინათინ კუპრაშვილი**	ასისტენტ-პროფესორი	პროექტების მენეჯმენტი და საჯარო სერვისების მართვა
15	**თეა ლოლაძე**	ასისტენტ-პროფესორი	რეგულირების ზეგავლენის შეფასება
16	**თამთა ჭრიკიშვილი**	ასისტენტი	ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში
			სამაგისტრო ნაშრომი

17	**ვლადიმერ ნაფეტვარიძე**	ასოცირებული პროფესორი	ელექტრონული მმართველობა საჯარო სექტორში
			სამაგისტრო ნაშრომი
18	**კახა არცივაძე**	პროფესორი	გარემოსდაცვითი პოლიტიკის მართვა
			სამაგისტრო ნაშრომი
19	**ქეთევან გოგინაშვილი**	ასოცირებული პროფესორი	ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის მართვა
			სამაგისტრო ნაშრომი
20	**ცირა ელისაშვილი**	პროფესორი	კულტურული მემკვიდრეობის მართვა და ქალაქის პოლიტიკა
			სამაგისტრო ნაშრომი
21	**ანა გორგოძე**	ასისტენტი	განათლების პოლიტიკის მართვა
22	**შალვა ფიფია**	პროფესორი	სოფლის მეურნეობის განვითარება და მართვა
23	**მიხეილ დარჩიაშვილი**	პროფესორი	საგარეო პოლიტიკის მართვა: ეროვნული უსაფრთხოება და ნატო-ში გაწევრიანება